**ქობულეთის საკონსერვო ქარხანა არასტანდარტულ ციტრუსს იბარებს**

აჭარის სოფლის მეურნეობის სამინისტროს ინფორმაციით, 30 ნოემბრიდან ქობულეთის საკონსერვო ქარხანა არასტანდარტულ ციტრუსს იბარებს. ფასი შეადგენს 20 თეთრს 1 კგ-ზე, აქედან აჭარის მთავრობა აფინანსებს 10 თეთრს. სამინისტროს ინფორმაციით, ქარხანა შეიძენს 18 000 ტ არასტანდარტულ მანდარინს წელს. ამჟამად ქარხანამ უკვე გადაამუშავა 100 ტ-მდე ციტრუსი კონცენტრირებულ წვენად.

*Daily News, 2 დეკემბერი, 2013*

**აჭარიდან ციტრუსის ექსპორტირება უკრაინული „უკრფერის“ გემებით დაიწყო**

აჭარის მთავრობის ცნობით, უკრაინული „უკრფერის“ გემი "გრეიფსვალდი" დღეს ბათუმის პორტიდან უკრაინაში გაემგზავრა ქართული ციტრუსით. ამავე კომპანიის სხვა გემი "გეროიტე სევასტოპოლი" შემოვიდა პორტში და ციტრუსის დატვირთვა ხვალიდან დაიწყება. უკრაინიდან ბათუმის პორტში შემომავალი ბორნის რეისების რაოდენობა გაორმაგდება და ორის ნაცვლად კვირაში 4-ჯერ გავა, ნათქვამია აჭარის მთავრობის განცხადებაში. რუსეთის მიმართულებით გადამზიდავ საზღვაო ტრანსპორტზე ციტრუსის დატვირთვა კვირის ბოლოს დაიწყება. ამ დრომდე ციტრუსი რუსეთში მხოლოდ ლარსის გავლით სატვირთო ავტომანქანებით გადიოდა. მთავრობა წელს 110 000 ტონა ციტრუსის მოსავალს ელოდება, აქედან 70 000 ტონა ექსპორტზე გავა. ამ ეტაპზე მანდარინის ფასი 50-60 თეთრია 1 კგ-ზე. ბოლო მონაცემებით, საქართველოდან სხვადასხვა ქვეყნის მიმართულებით უკვე რეალიზებულია 10 498 ტონა მანდარინი. აქედან უკრაინაში ექსპორტზე გავიდა 5726 ტ, რუსეთში - 1 388 ტ, ბელორუსიაში - 528 ტ, აზერბაიჯანსა და სომხეთში - 1 011 ტ, ყაზახეთში - 88 ტ, უზბეკეთში - 39 ტ, მოლდავეთში - 28 ტ, საქართველოს შიდა ბაზარზე კი რეალიზებულია 1 690 ტონა ციტრუსი.

*Daily News, 2 დეკემბერი, 2013*

**ხორცის წარმოება შემცირდა**

"საქსტატის" მიერ გამოქვეყნებული მე-3 კვარტლის წინასწარი მონაცემებით, საქართველოში ხორცის წარმოების მაჩვენებელი 9 000 ტონაა. ეს მაჩვენებელი წლიურ 8,4%-იან შემცირებას ასახავს. საანგარიშო პერიოდში საქართველოში წარმოებულია 181,7 მილიონი ლიტრი რძე (ზრდა - 2,7%). კვერცხის წარმოება შემცირდა 10,4%-ით და შეადგენს 100,3 მლნ ცალს. მთლიანობაში, მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის რაოდენობამ შეადგინა 1,25 მლნ (ზრდა - 5,8%). გარდა ამისა, ღორების რაოდენობა იყო 330 600 (ზრდა 26,5%), ცხვარი და თხა - 882 100 და ფრინველი - 8,2 მლნ (კლება 6,3%).

*Daily News, 2 დეკემბერი, 2013*

**ასოცირების ხელშეკრულება საქართველოსა და ევროკავშირს შორის**

ვილნიუსის სამიტზე საქართველოსა და ევროკავშირს შორის ასოცირების შესახებ ხელშეკრულებას ხელი მოეწერა. სოფლის მეურნეობისა და სურსათის სფეროში ხელშეკრულების ყველაზე მნიშვნელოვანი ნაწილებია:

- სანიტარული და ფიტოსანიტარული ზომები (კარი IV-ვაჭრობა და ვაჭრობასთან დაკავშირებული საკითხები, თავი 4, მუხ. 50-65)

- სოფლის მეურნეობა და სოფლის განვითარება (კარი VI - თანამშრომლობის სხვა სტრატეგიები, თავი 10, მუხ. 332-334).

ყველა ინფორმაცია, რომელიც შეეხება საქართველოსა და ევროკავშირს შორის ასოცირების შესახებ ხელშეკრულებას, ხელმისაწვდომია European Union-ის ვებგვერდზე.

**„ასკანელი ძმების“ კონიაკები რუსეთის ბაზარზე გავა**

კომპანიამ „ასკანელი ძმები“ დადებითი პასუხი მიიღო რუსეთის სანიტარული ზედამხედველობის სამსახურში რუსეთის ბაზარზე კონიაკის დაშვების საკითხზე წარდგენილ ყველა განაცხადზე. „ასკანელი ძმების“ დამფუძნებელის ჯიმი ჩხაიძის ინფორმაციით, „ასკანელი ძმების“ აღნიშნული სასმელების რუსეთის ბაზარზე გაგზავნა გაუგებრობის გამო მიმდინარე წლის მაისში შეფერხდა. კომპანიამ პროდუქციის ხელმეორედ შემოწმება მოითხოვა. სერთიფიცირების პროცესი სამი თვის განმავლობაში მიმდინარეობდა. „ასკანელი ძმების“ პროდუქცია რუსეთის ბაზარზე უკვე სამი თვეა წარმატებით და შეუფერხებლად იგზავნება. ივნისის შემდეგ კომპანიამ რუსეთის ფედერაციაში 9 დასახელების მილიონ ბოთლზე მეტი ღვინო გაიტანა. „ასკანელი ძმები“ ერთადერთი ქართული კომპანიაა, რომელიც რუსეთის უმსხვილეს სარესტორნო ქსელს „გინზა გრუპს“ საკუთარ პროდუქციას აწვდის, აღნიშნა ჩხაიძემ. კომპანია „ასკანელი ძმები“ 15 წლის წინ დაარსდა და სადღეისოდ ერთ-ერთი წამყვანი კომპანიაა ქართულ ალკოჰოლის მწარმოებელ კომპანიებს შორის. კომპანია აწარმოებს 8 სახეობის კონიაკს, 32 დასახელების ღვინოს, 4 დასახელების ჭაჭას. „ასკანელი ძმების“ მიერ წარმოებული სასმელები გადის ექსპორტზე 19 ქვეყანაში, მათ შორის აშშ-ში, უკრაინაში, ჩინეთში, გერმანიაში და დიდ ბრიტანეთში. ამჟამად შენდება ახალი საწარმო, რომელიც აღჭურვილი იქნება იტალიური ტექნიკა-დანადგარებით. ქარხნის მშენებლობა 6 თვეში დასრულდება.

*ECONOMIC PRESS MONITOR, 29 ნოემბერი, 2013*

**2014 წლისთვის ახალი ტრაქტორების იმპორტი იგეგმება**

საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს ბიუჯეტი ითვალისწინებს 113 მილიონ ლარზე მეტს სარწყავი სისტემის რეაბილიტაციის და სასოფლო-სამეურნეო მანქანების იმპორტისთვის 2014 წელს. თუმცა, სამინისტროს ჯერ არ აქვს დადგენილი, რამდენი მანქანა იქნება ჩამოტანილი და როდის, აღნიშნავს გაზეთი. ამ წელს სამინისტრომ 300 ტრაქტორამდე შეიძინა და უკვე გადამზადდა 900 ოპერატორი, აღნიშნავს გაზეთი. ქვეყანას სჭირდება 5 000 ტრაქტორზე მეტი, ხოლო დაახლოებით 1 000 ტრაქტორი ირიცხება სამინისტროს ბალანსზე, წერს გაზეთი და დასძენს, რომ არა მხოლოდ სამინისტრო უნდა იყოს ჩართული ტრაქტორების შეძენაში, არამედ კერძო სექტორმა ასევე უნდა მიიღოს აქტიური მონაწილეობა ამ მიმართულებით.

*ECONOMIC PRESS MONITOR, 28 ნოემბერი, 2013*

**48 ღვინის კომპანიამ ისარგებლა შეღავათიანი აგროსესხების პროგრამის მეხუთე კომპონენტით**

სოფლის მეურნეობის სამინისტროს ინფორმაციით, 48 კომპანიამ შეღავათიანი აგროსესხების პროგრამის მეხუთე კომპონენტით (ღვინის კომპანიების მიერ ყურძნის შესყიდვის დაფინანსება) ისარგებლა. სამინისტროს ინფორმაციით, კომპანიებზე გაცემული სესხების საერთო რაოდენობამ 52,37 მლნ ლარი შეადგინა. ეს კომპონენტი

მთლიანად გაცემული სესხების 15,9%-ს შეადგენს. შეგახსენებთ, რომ ამ კომპონენტის ბენეფიციარები არიან ის კომპანიები, რომლებიც მონაწილეობენ სახელმწიფო სუბსიდირების პროგრამაში. სესხები გაიცემა ლარში 15 თვის ვადით, საპროცენტო განაკვეთია 12-15%. ამასთან, საპროცენტო განაკვეთის 9%-ს ფარავს სახელმწიფო.
*DAILY NEWS, 27ნოემბერი, 2013*

**შეღავათიანი აგროსესხების პროგრამას მეექვსე კომპონენტი დაემატა**
სოფლის მეურნეობის სამინისტროს ინფორმაციით, მე-6 კომპონენტი დაემატა შეღავათიანი აგროსესხების პროგრამას, რომელიც გათვალისწინებულია იმ საწარმოებისთვის, რომლებიც მანდარინს შეისყიდის. სესხები გაიცემა 4 თვის ვადით 12-15% საპროცენტო განაკვეთით, საიდანაც 9% იფარება სახელმწიფოს მიერ. სესხის მოცულობის ზედა ზღვარი შეადგენს 10 მილიონ ლარს. სამინისტროს განცხადებით, 400 000 ლარი უკვე გაცემულია ამ კომპონენტის ფარგლებში, რაც მთელი პროგრამის (202,55 მილიონი ლარი) 0,2% შეადგენს. სამინისტროს ინფორმაციით კომპონენტი დაიწყო დაახლოებით ერთი თვის წინ.
*DAILY NEWS, 27ნოემბერი, 2013*

**თანაინვესტირების ფონდი პირველ ინვესტიციას დებს სოფლის მეურნეობაში**
თანაინვესტირების ფონდის გენერალურმა დირექტორმა გიორგი ბაჩიაშვილმა განაცხადა, რომ ფონდი ჩადებს თავის პირველ ინვესტიციას სოფლის მეურნეობაში. საქმე ეხება 40 მილიონი აშშ დოლარის ინვესტიციას, განაცხადა ბაჩიაშვილმა ამერიკის სავაჭრო პალატის წევრებთან გუშინდელ შეხვედრაზე. ბაჩიაშვილის თქმით, ფონდის მიერ მოზიდული 6 მილიარდი აშშ დოლარი ძალიან დიდი თანხაა საქართველოს ეკონომიკისთვის, აქედან გამომდინარე ფონდი განიხილავს ეკონომიკური აქტივობის გაფართოებას და სახავს ახალ პროექტებს, მათ შორის, ინვესტიციებს სამთო მრეწველობაში. ინტერესის სფეროა სხვა სექტორებიც, კერძოდ, ტურიზმი, ენერგეტიკა და სასტუმროს პროექტები. თანაინვესტირების ფონდმა, რომლის შექმნის ინიციატორი იყო ყოფილი პრემიერ-მინისტრი ბიძინა ივანიშვილი, ფუნქციონირება დაიწყო სექტემბერში. როგორც ბაჩიაშვილმა განაცხადა, ფონდი იმუშავებს 5 წლის განმავლობაში და გეგმავს დახურვას 7 წლის შემდეგ.
*DAILY NEWS, 27ნოემბერი, 2013*

**მეორე კომპონენტი შეღავათიანი აგროსესხების პროგრამის ფარგლებში გაცემული სესხების 42,5%-ს ითვლის**
სოფლის მეურნეობის სამინისტროს ცნობით, შეღავათიანი აგროსესხების პროგრამის ფარგლებში 202,55 მილიონი ლარი გაიცა 7 371 ბენეფიციარზე. აქედან, 4 332 ბენეფიციარმა მიიღო 86,15 მილიონი ლარი (საერთო მოცულობის 42,5%) მე-2 კომპონენტის ფარგლებში (საშუალო ზომის და დიდი ფერმერების დაფინანსება). პირველი კომპონენტის ფარგლებში (უპროცენტო სესხები მცირე ფერმერებს საქონლისთვის) 2 685 ადამიანმა მიიღო დაფინანსება 1,1 მლნ ლარი (რაც მთლიანი მოცულობის 0,5% შეადგენს). მე-3 კომპონენტის ფარგლებში (სოფლის მეურნეობის საწარმოების დაფინანსება) 37,31 მლნ აშშ დოლარი (30,8%) გაიცა 305 ბენეფიციარზე (მათ შორის, 53 ახალი საწარმოს შექმნაზე). სამინისტროს ინფორმაციით, რამდენიმე განაცხადი, წარმოდგენილი სალიზინგო კომპანიების მიერ, განიხილება მე-4 კომპონენტის (ლიზინგი) ფარგლებში. აღნიშნული პროგრამის მიმდინარეობა და 8 თვის

შედეგები განხილულ იქნა შეხვედრაზე სოფლის მეურნეობის პროექტების მართვის სააგენტოს ხელმძღვანელ ირაკლი მოისწრაფიშვილს და პროგრამაში ჩართულ 13 ბანკის, 2 სალიზინგო კომპანიის და 2 მიკროსაფინანსო ორგანიზაციის წარმომადგენლებს შორის.
*DAILY NEWS, 26 ნოემბერი, 2013*

**აზერბაიჯანის რესპუბლიკაში 6 ქართული ღვინის ადგილწარმოშობის დასახელების რეგისტრაციის პროცესი დასრულდა**
საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნულმა ცენტრმა „საქპატენტი“ აზერბაიჯანის რესპუბლიკაში 6 ქართული ღვინის ადგილწარმოშობის დასახელების რეგისტრაციის პროცესი დაასრულა. კერძოდ, დასახელებებზე „მუკუზანი“, „ახაშენი“, „ქინძმარაული“, „წინანადალი“, „ტვიში“, „ხვანჭკარა“ აზერბაიჯანის რესპუბლიკის სახელმწიფო საპატენტო სამსახურმა უკვე გასცა მოწმობები, რომლებიც ადასტურებს, რომ დასახელებები წარმატებით დარეგისტრირდა. აზერბაიჯანის რესპუბლიკაში სარეგისტრაციოდ წარსადგენი პრიორიტეტული დასახელებებები, საექსპორტო მონაცემებზე დაყრდნობით, სოფლის მეურნეობის სამინისტროსთან და ღვინის ეროვნულ სააგენტოსთან ერთად განისაზღვრა.
*DAILY NEWS, 25 ნოემბერი, 2013*

**კომპანიები მიწვეულნი არიან სურსათის უვნებლობის ინსპექციისთვის, რათა დაჩქარდეს ექსპორტი ევროკავშირში**
ქართული კომპანიების უსაფრთხო საკვების წარმოებაში ხელშეწყობის მიზნით ევრაზიის თანამშრომლობის ფონდმა ოქროს ბრენდთან პარტნიორობით ოფიციალურად მიიწვია სურსათის მწარმოებლები, რათა მონაწილეობა მიიღონ წლის საუკეთესო კვების პროდუქტების საწარმოს (2014) კონკურსში. საქართველომ უნდა გაამკაცროს სურსათის უვნებლობის კონტროლი, რადგანაც ეს არის ერთ-ერთი გამოწვევა, რომლის წინაშე დგას საქართველო ევროინტეგრაციის პროცესში, ამბობენ ევრაზიის თანამშრომლობის ფონდის და ევროკავშირის დელეგაციის საქართველოში ექსპერტები. "ამჟამად საქართველო ვერ გაიტანს ცხოველური წარმოშობის პროდუქციას ევროპაში, იმიტომ, რომ არსებობს ცხოველთა დაავადებები, რომლებიც უნდა იყოს კონტროლირებადი. თავისუფალი ვაჭრობის შესახებ შეთანხმების ხელმოწერა არ ნიშნავს, რომ საქართველო დაუყონებლივ შეძლებს, მაგალითად, ღორის ხორცის ექსპორტს. მაგრამ საქართველო შეძლებს ამის გაკეთებას, თუ მოთხოვნები იქნება დაკმაყოფილებული. გარდა უსაფრთხო საკვების წარმოებისა საქართველოში, ქვეყანა ძალიან ფრთხილად უნდა იყოს იმპორტის თვალსაზრისით. ყველაზე დიდი პრობლემა იქნება, რომ გაუმჯობესდეს სურსათის უვნებლობის საკითხები მცირე და საშუალო ბიზნესში, რომლებიც არ აწარმოებენ ექსპორტს. საშუალო ზომის კომპანიებში რეგიონებში, რომლებსაც ნაწარმი გააქვთ ბაზარზე. შეიძლება კომპანიები არ იგრძნობენ თავს ბედნიერად ამ მიმართულებით მუშაობის დაწყებისას, მაგრამ გრძელვადიან პერსპექტივაში ისინი დაინახავენ, რომ ეს სასარგებლოა მათი ბიზნესისთვის. სურსათის უვნებლობის მოთხოვნების დაკმაყოფილება არ არის ხარჯი, ეს არის ინვესტიცია კომპანიის მომავალში" განაცხადა ეჩანოვემ.

**70-ზე მეტი კომპანია მონაწილეობს სოფლის მეურნეობის და სურსათის სართაშორისო გამოფენაში**

სოფლის მეურნეობის, კვების მრეწველობის, გადამამუშავებელი და შემფუთავი ტექნოლოგიების მე-13 საერთაშორისო გამოფენა გაიხსნა დღეს თბილისის საგამოფენო ცენტრში „ექსპო ჯორჯია“. გამოფენა გაგრძელდება 23 ნოემბრამდე. სოფლის მეურნეობის სამინისტროს ინფორმაციით, 70-ზე მეტი კომპანია იღებს მონაწილეობას ამ გამოფენაში. გარდა ქართული კომპანიებისა, არიან მონაწილეები გერმანიიდან, ისრაელიდან, პოლონეთიდან, რუსეთიდან, ესპანეთიდან, შრი-ლანკადან, თურქეთიდან, უკრაინიდან და არაბთა გაერთიანებული საემიროებიდან. სოფლის მეურნეობის მინისტრის მოადგილემ დავით გალეგაშვილმა განაცხადა, რომ სამინისტრომ რაიონული საინფორმაციო-საკონსულტაციო სამსახურების დახმარებით ორგანიზება გაუკეთა რეგიონებიდან 2 000-ზე მეტ დაინტერესებული ფერმერის ჩამოყვანას.
*DAILY NEWS, 20 ნოემბერი, 2013*

**ქართული ცხვრის ექსპორტი ჩავარდა**
როგორც მეცხვარეთა ასოციაციის თავმჯდომარე ბექა გონაშვილი აღნიშნავს, წელს ცხვრის ექსპორტი მხოლოდ აზერბაიჯანში ხორციელდება. აგვისტოს მონაცემებით, ამ ქვეყანაში 60 000 სული გავიდა. გონაშვილის თქმით, საქართველოში ცხვრის ექსპორტი 2009 წლიდან ვითარდება, როდესაც გაყვანილ იქნა 266 244 სული. მომდევნო წლებში რაოდენობა მცირდებოდა და 2012 წელს 120 000 სული შეადგინა. 2012 წელს არაბულ ქვეყნებში 80 000 სული ცხვარი გავიდა, წელს კი ამ მიმართულებით ექსპორტი შეწყდა, ვინაიდან არაბები რუმინეთსა და მოლდოვაში ცხვარს შედარებით იაფად ყიდულობენ, აღნიშნავს გონაშვილი. რაც შეეხება საქართველოს, გონაშვილის მონაცემებით, 2009 წლამდე ცხვარი 50 ლარი ღირდა, შემდეგ ფასი 150-170 ლარამდე გაიზარდა, ამჟამად კი 150 ლარამდეა. ერთი ცხვრის შენახვა 110-115 ლარი ჯდება, თუ მეცხვარე საძოვრის მეპატრონეა, აცხადებს გონაშვილი, რომელიც მიიჩნევს, რომ საძოვრის გადასახადი მაღალია და უნდა გადაიხედოს.
*ECONOMIC PRESS MONITOR, 18 ნოემბერი, 2013*

**სოფლის მეურნეობის სამინისტროს მომავალი წლის ასიგნებები იზრდება 20%-ით**
2014 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტი ითვალისწინებს 290 მილიონ ლარს სოფლის მეურნეობის სამინისტროსთვის. ეს რაოდენობა აღემატება 2013 წლის შესაბამის მაჩვენებელს 49 მლნ ლარით (ანუ 20%). აღნიშნული ლიმიტები მოიცავს 130,4 მილიონ ლარს სამელიორაციო სისტემებისთვის (2013 წლის შესაბამის რაოდენობას აღემატება 66 მლნ ლარით, ანუ 1,97-ჯერ). შეღავათიანი აგროსესხების პროგრამა დაფინანსდება 68,8 მილიონი ლარით. ფინანსთა სამინისტრო არ იძლევა 2013 წლის ლიმიტებს შედარებისთვის. სასოფლო-სამეურნეო მანქანების და სესხების გადახდა იგეგმება მომავალი წლისთვის, რაც დაფინანსდა 25,1 მლნ ლარით. გარდა ამისა, 6,8 მილიონი ლარია გათვალისწინებული კვლევითი საქმიანობისთვის სოფლის მეურნეობის სექტორში, ხოლო 5 მლნ ლარი - ქართული ღვინის რეკლამირებისთვის.
*DAILY NEWS, 14 ნოემბერი, 2013*

**საქართველოს სოფლის მეურნეობის ფინანსური ბიულეტენი**
ჩვენი წევრი Business & Finance Consulting (BFC) აქვეყნებს საქართველოს სოფლის მეურნეობის ფინანსურ ბიულეტენს საინტერესო თემებზე. 2013 წლის დეკემბრის გამოცემას გაეცანით ამ მისამართზე.

http://agrogeorgia.blog.com/

## AGRO NEWS ARMENIA

**სომხეთის თაფლი ექსპორტზე ევროპაში გაიგზავნება**

სომხეთის მეფუტკრეები მზად არიან თაფლის ექსპორტის საკითხი ევროპელებთან შეათანხმონ. სომხეთის მეფუტკრეთა ასოციაციის თავმჯდომარემ ტელმან ნაზარიანმა განუცხადა „არმენპრესს“ ამის შესახებ. მეფუტკრის თქმით სომხეთში 300 გრამი თაფლი მზადდება სულზე წელიწადში, მაგრამ ხალხი ვერ იყენებს ამას სათანადოდ. ნაზარიანის თქმით, 400-500 ტონა თაფლი ყოველწლიურად შეიძლება ექსპორტირებულ იქნას ევროპის ქვეყნებში სომხეთიდან და მთიანი ყარაბაღის რესპუბლიკიდან. "ფუტკრების 60-70% ევროპაში დაიღუპა ბოლო წლების განმავლობაში. ევროპელებს თაფლის შემენის სურვილი და ფული აქვთ", - განაცხადა სომხეთის მეფუტკრეთა ასოციაციის თავმჯდომარემ. 2013 წლის იანვარ-სექტემბერში 6,2 ტონა თაფლი იქნა ექსპორტირებული სომხეთის რესპუბლიკიდან ძირითადად ჩინეთში, რუსეთში და ამერიკის შეერთებულ შტატებში.
ერევანი, 27 ნოემბერი, Armenpress.

**FAO უზრუნველყოფს სომხეთისთვის 459 000 აშშ დოლარის დახმარებას**

გაეროს სურსათისა და სოფლის მეურნეობის ორგანიზაცია (FAO) უზრუნველყოფს სომხეთისთვის 459 000 აშშ დოლარის დახმარებას ბოსტნეულის წარმოებისთვის. სოფლის მეურნეობის მინისტრმა სერგო კარაპეტიანმა ეს განცხადება მთავრობის სხდომაზე გააკეთა. სომხეთის სოფლის მეურნეობა ითვლის მშპ-ს 23%-ს. ბოსტნეული მოჰყავთ 27 000 ჰექტარზე და უზრუნველყოფს 200 მილიონ აშშ დოლარზე მეტ შემოსავალს, რაც სოფლის მეურნეობის შემოსავალის 20%-ზე მეტს შეადგენს. ამჟამად სახელმწიფო საკუთრებაში არსებული ნესვის და სამრეწველო კულტურების სამეცნიერო ცენტრის მიერ თესლის მხოლოდ 5%-ის მოწოდება ხდება. ხოლო თესლის 70 პროცენტის შემენა არ კონტროლდება. შესაბამისი პროგრამის მიზანი, რომელიც დასრულდება 2015 წლის აგვისტოში, იქნება საფუძველის შექმნა სიცოცხლისუნარიანი და მდგრადი სისტემისთვის, რომელიც აწარმოებს სერტიფიცირებულ თესლს საკუთარი რესურსების საფუძველზე.
28 ნოემბერი. ARKA.

**ბანკი „ანელიკი“ გასცემს სესხებს აგრარული სექტორისთვის**

ბანკი „ანელიკი“ ახალ საკრედიტო პროდუქტებს სთავაზობს აგრარული სექტორის მცირე და საშუალო საწარმოებს. ბანკის პრესსამსახურმა განუცხადა „არმინფოს“, რომ ბანკი „ანელიკი“ სთავაზობს სამი ტიპის სესხებს: სესხებს საკუთრების უზრუნველყოფით, სესხებს გარანტიის სანაცლოდ და სესხებს ოქროს უზრუნველყოფით. წყარო აცხადებს, რომ სესხის მაქსიმალური თანხა 20 მლნ სომხური დრაჰმაა ან 100 ათასი აშშ დოლარი, ვადა 7 წლამდე. სესხები ოქროს უზრუნველყოფით უფრო მიმზიდველია: არ იქნება საკომისიო და საპროცენტო განაკვეთი იქნება გონივრული (13% წლიურად). საკუთრებით უზრუნველყოფილ სესხებზე იქნება გათვალისწინებული საპროცენტო განაკვეთი მინ. 21% წლიურად სომხეთის დრაჰმაზე და მინ. 15% წლიურად აშშ დოლარის სესხებზე. საპროცენტო განაკვეთები გარანტიით გაცემულ სესხებზე მინ. 22% წლიურად სომხეთის დრაჰმაზე და მინ. 16% წლიურად აშშ

დოლარის სესხებზე. "საიდუმლო არ არის, რომ სოფლის მეურნეობა არის ეკონომიკის ერთ-ერთი ძირითადი და პრიორიტეტული დარგი და ბანკი ყოველმხრივ ხელს უწყობს აგრარული სექტორის განვითარებას. ჩვენ იმედი გვაქვს, რომ ბანკის ახალი საკრედიტო პროდუქტები ხელს შეუწყობს აგრარული სექტორის ერთეულებს," ამბობს კარენაჰმა ჯანინიანი, ბანკის გამგეობის თავმჯდომარის პირველი მოადგილე. სომხური ბანკების ფინანსური რეიტინგით მარკეტინგული ინფორმაციის რეიტინგის სააგენტოს (ArmInfo) თანახმად 2013 წლის 30 სექტემბრისთვის ბანკი „ანელიკის“ აქტივებმა შეადგინა 60,7 მლრდ სომხეთის დრაჰმა. ამ თანხის 51,6% ან 34,1 მლრდ სომხეთის დრაჰმა გამოყოფილია სესხებისთვის. კრედიტებმა ეკონომიკაში შეადგინა 22,6 მლრდ სომხეთის დრაჰმა. სასოფლო-სამეურნეო სესხების წილი ბანკის საერთო სესხებში შეადგენს 2,6%-ს ან 873,8 მლნ სომხეთის დრაჰმას.
ერევანი, 21 ნოემბერი, Armenpress.

**სომხეთი ამცირებს შაქრის იმპორტს**
იმპორტირებული შაქრის მოცულობა სომხეთის რესპუბლიკაში 2013 წლის იანვარ-სექტემბერში შემცირდა 3,3%-ით წინა წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით და არის 51755,1 ტონა. იმპორტირებული შაქრის საერთო საბაჟო ღირებულებამ გადააჭარბა 27 მილიონ აშშ დოლარს. სომხეთის რესპუბლიკის მთავრობის სახელმწიფო შემოსავლების კომიტეტის მონაცემებით 2012 წლის პირველი ცხრა თვის განმავლობაში 53 522,1 ტონა შაქარი იქნა იმპორტირებული ქვეყანაში. „არმენპრესი“ იუწყება, რომ სომხეთში იმპორტირებული შაქრის ძირითადი ნაწილი ბრაზილიურია (47,7 ათასი ტონა) და უკრაინული (17 ათასი ტონა). ამავე დროს, დაახლოებით 44 000 ტონა შაქარი იწარმოებოდა სომხეთში 2013 წლის იანვარ-სექტემბერში.
ერევანი, 25 ნოემბერი, Armenpress.

**კიტრის ექსპორტი სომხეთიდან გაიზარდა**
ახალი ან გაცივებული კიტრის ექსპორტი სომხეთის რესპუბლიკიდან გაიზარდა 18-ჯერ 2013 წლის იანვარ-სექტემბერში წინა წლის ამავე პერიოდთან შედარებით და მიაღწია 1 121,9 ტონას. ექსპორტირებული კიტრის საერთო საბაჟო ღირებულებამ გადააჭარბა 2 მილიონ აშშ დოლარს. „არმენპრესი“ იუწყება, რომ სომხეთის რესპუბლიკის მთავრობის სახელმწიფო შემოსავლების კომიტეტის მონაცემებით ქვეყნიდან ექსპორტირებული კიტრის მთელი მოცულობა რუსეთის ფედერაციამ (1 092,4 ტონა) შეიძინა. 2012 წელს 231,2 ტონა კიტრი და 87,8 ტონა სტაფილო, თალგამი, ჭარხალი და ნიახური ექსპორტზე გავიდა სომხეთიდან.
ერევანი, 21 ნოემბერი, Armenpress.

**სომხეთიდან ხილის ექსპორტი გაიზარდა დაახლოებით 60 პროცენტით**
გარგარის, ატმის, ქლიავის, ალუბლის და კვრინჩხის ექსპორტი სომხეთის რესპუბლიკიდან გაიზარდა 59,35 პროცენტით მიმდინარე წლის იანვარ-სექტემბერში წინა წლის ამავე პერიოდთან შედარებით და ამგვარად მიაღწია 24 865 ტონას. აღნიშნული ხილის ექსპორტის საერთო საბაჟო ღირებულება 19 მლნ აშშ დოლარია. სომხეთის რესპუბლიკის მთავრობის სახელმწიფო შემოსავლების კომიტეტის მონაცემებით ქვეყანამ ექსპორტზე 15 603,8 ტონა აღნიშნული ხილი გააგზავნა წინა წლის პირველი ცხრა თვის განმავლობაში.

ერევანი, 15 ნოემბერი, Armenpress.

**სოფლის მეურნეობის მინისტრი აცხადებს, რომ სომხეთში საკმარისი რაოდენობის ტომატის პასტის ნედლეულია**

ტომატის პასტის ნედლეული საკმარისი იქნება მომდევნო წარმოების პერიოდამდე. სოფლის მეურნეობის მინისტრმა სერგო კარაპეტიანმა განაცხადა ამის თაობაზე ჟურნალისტებთან. მისი თქმით ტომატის პასტის დეფიციტი არ არსებობს სომხეთის რესპუბლიკაში. "მართალია, იყო გარკვეული სირთულე წარმოებაში ამ წელს, რადგან მოსავალი დაისეტყვა არმავირის რაიონში და პროდუქცია ახალი ნარგავებიდან გვიან გამოჩნდა. შედეგად, პომიდვრის მარაგი შემცირდა 5 ათასი ტონით წინა წელთან შედარებით. მიუხედავად ამისა, მე დარწმუნებული ვარ, რომ არ იქნება ტომატის პასტის დეფიციტი ჩვენს ბაზარზე", განაცხადა სოფლის მეურნეობის მინისტრმა სერგო კარაპეტიანმა.
18 ნოემბერი, Armenpress.

**სომხეთიდან თევზის ექსპორტი რუსეთში იზრდება**

ცოცხალი თევზის ექსპორტი სომხეთის რესპუბლიკიდან იანვარ-სექტემბერში გაიზარდა 4,6%-ით წინა წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით და 13,6 ტონა შეადგინა. თევზის მთლიანი მოცულობა გაიგზავნა საქართველოში. სომხეთის რესპუბლიკის მთავრობის სახელმწიფო შემოსავლების კომიტეტის მონაცემებით იანვარ-სექტემბრის პერიოდში ახალი ან გაყინული თევზის ექსპორტი გაიზარდა 57,5%-ით და 1 410 ტონა შეადგინა, საერთო საბაჟო ღირებულებით 10,6 მილიონზე მეტი. ახალი ან გაყინული თევზის ექსპორტის თითქმის მთელი მოცულობა სომხეთიდან 1 406,6 ტონა შეძენილ იქნა რუსეთის მიერ, რაც წინა წლის ამავე პერიოდის მაჩვენებელს აღემატება 57,36%-ით.
ერევანი, 14 ნოემბერი, Armenpress.

**სოფლის მეურნეობის პროდუქტების ექსპორტი სომხეთიდან გაიზარდა**

სურსათის და სოფლის მეურნეობის პროდუქტების ექსპორტი სომხეთიდან გაიზარდა 4,5%-ით წინა წლის ამავე პერიოდთან შედარებით. ტექსტილის და ფეხსაცმელის ექსპორტი გაიზარდა 1,3%-ით. ლითონების, მინერალების და ძვირფასი ქვების წილი შემცირდა. სომხეთის რესპუბლიკის მთავრობის სახელმწიფო შემოსავლების კომიტეტის მონაცემებით იანვარ-სექტემბერში მანქანების, მოწყობილობების და სატრანსპორტო საშუალებების იმპორტის წილი შემცირდა 1,9%-ით, სურსათის და სოფლის მეურნეობის პროდუქტების - 0,7%-ით, მინერალების მაჩვენებელი დარჩა იგივე და ტექსტილის და ფეხსაცმელის მაჩვენებელი გაიზარდა. იანვარ-სექტემბერში მთლიანი ექსპორტის მაჩვენებელი გახდა 1 106 884 აშშ დოლარი, რაც აღემატება წინა წლის ამავე პერიოდის მაჩვენებელს 14%-ით. იანვარ-სექტემბერში მთლიანი იმპორტის მაჩვენებელი გახდა 3 139 943 აშშ დოლარი, რაც 3,3 %-ით უფრო მეტია, ვიდრე წინა წლის იგივე მაჩვენებელი.
ერევანი, 14 ნოემბერი, Armenpress.